# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის უმაღლესი განათლების პროგრამის წინასწარი ანგარიში

## საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

20 ივნისი, 2018 წელი

თბილისი

2018 წელი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი: | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი |
| განათლების საფეხური | უმაღლესი განათლების პირველი ციკლი/საფეხური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღატრო აღრიცხვაში |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დოქტორი, პროფესორი ტატიანა ვოლკოვა |

| | |
|---|---|
| | ბიზნესის ადმინისტრირება, ბიზნესის და ფინანსების სკოლა, ლატვია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | დოქტორი, პროფესორი ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ბ-ნი ნიკოლოზ ყაველაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ბ-ნი ირაკლი გაბრიაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### § ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაკალავრის პროგრამა საბუღალტრო აღრიცხვაში წარმოდგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) მიერ და აკრედიტებული იქნა 2011 წელს. პროგრამა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2015 წლიდან და 2017 წლის შემოდგომაზე. 2015 წელს პროგრამის შინაარსში ცვლილებამ გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების შეცვლა - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, რადგან მას დაემატა აუდიტის მიმართულებაც. 2017 წელს ბიზნესის ადმინისტრირების საერთო პროგრამის ადაპტაცია მოხდა საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სპეციალობის დამატებით.
ბაკალავრის პროგრამის საკრედიტო მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, როგორც ამას ითვალისწინებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნები. 2013/2014 წლების შემდეგ, 89 სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე: 2013/2014 - 3, 2014/2015 - 2, 2015/2016 - 18 2016/2017 - 27, 2017/2018 – 29 სტუდენტი და 7 კურსდამთავრებული (კურსდამთავრებულთა რაოდენობა უნივერსიტეტში ვიზიტის დროს იქნა მოწოდებული, თუმცა პროგრამის განვითარების დოკუმენტი 6 კურსდამთავრებულს აღნიშნავდა).

§ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 20 ივნისს. ვიზიტის განმავლობაში შედგა შეხვედრები თვითშეფასების გუნდთან (3 წევრი), პროგრამის ხელმძღვანელთან, 4 მასწავლებელთან, 4 მოწვეულ ლექტორთან, 8 სტუდენტთან, 3 დამსაქმებელთან და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა წვეოდა ბიბლიოთეკას და დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის კამპუსი.

§ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა:

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია 1 და მე-2 სტანდარტებთან;
- შესაბამისობაშია 3-თან;
- მეტწილად შესაბამისობაშია მე-4 და მე- 5 სტანდარტებთან.

§ რეკომენდაციები

1. პროგრამის მიზნის და ამოცანების ხელახლა განხილვა, რათა უზრუველყოფილ იქნეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. შეცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ეწოდოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში, რათა უზრუველყოფილი იქნეს პროგრამის სახელწოდებასა და შინაარსთან შესაბამისობა.
3. სასწავლო პროგრამის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გადაკეთება, პროგრამის ძირითადი, მეორადი და თავისუფალი ან ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების გარშემო აწყობით;
4. პროგრამის შინაარსი უნდა მოერგოს სასწავლო სფეროს, აუცილებელია პროგრამაში განხრის ყველა საჭირო კომპონენტის (საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი) შეტანა, რაც უზრუნველყოფს საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში პროფესიული საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი კომპეტენციების შეძენას, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დამთავრების შემდეგ.
5. პროგრამის გადაკეთება არჩევითი კურსების პროგრამის ძირითად კომპონენტთან გადანაწილებით, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი ხარისხის პროგრამის სახელწოდებასთან შესაბამისობას.

6. სასწავლო კურსის შინაარსის აღწერილობაში საგნის უფრო ფართო თემების ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომის უზრუნველყოფას.
7. სასწავლო კურსის სილაბუსში უფრო ნაკლები სწავლის შედეგის და მეტი თემების შეტანას, რათა უზრუნველყოს სწავლების მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რაც არ შეზღუდავს კონკრეტული თემების კონკრეტულ ვადებში სწავლას.
8. სტრატეგიული დაგეგმვისა და შესრულების მართვის უნარების შემუშავების უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.
9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრის უზრუნველყოფა.
10. პროგრამის კომპონენტების ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა.
11. პროგრამის სწავლის შედეგების, მისი კომპონენტების და სასწავლო კურსების უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობაში მოყვანა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების თანახმად.
12. სასწავლო პროგრამის განვიითარებაში დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეთა, მათ შორის კურსდამთავრებულთა, ჩართვის ოფიციალურად გაფორმება.
13. სტუდენტების ინფორმირება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ, რათა უკეთ აღიქვან საკუთარი სწავლის ხარვეზები და გაუმჯობესების საშუალებები.
14. სასწავლო მასალების დამატება, რომელიც მოიცავს დიპლომირებული კორპორაციული ბუღალტერების ასოციაციის (ACCA) და დიპლომირებული ფინანსური ანალიტიკოსის ინსტიტუტის (CFA) კურიკულიმის მიერ გათვალისწინებულ საკითხებს.
15. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების მეტი გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის, სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსის ფორმულირების გასაუმჯობესებლად, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სამომავლო ჩართულობის შესახებ ვორკშოპების/სემინარების ორგანიზება ბუღალტერთა და აუდიტის სპეციალისტებისათვის.
2. პროგრამის განვითარების საბჭოს შეხვედრები, რომელსაც თავმჯდომარეობენ სასწავლო სფეროში პროფესიონალი წარმომადგენლები, შეიძლება რეგულარულად (წელიწადში 2-ჯერ) ჩატარდეს, რათა განიხილონ პროგრამის განვითარება.

3. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით ექსტრაკურიკულური კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უფრო აქტიურად მიწოდება და სტუდენტების სტიმულირება მონაწილეობა მიიღონ ამ საქმიანობაში.
4. მეტი საერთაშორისო ლექტორის მოწვევა კურსების ან მათი ნაწილის ჩასატარებლად.
5. კურსდამთავრებულთა ჩაბმა სასწავლო პროგრამის გარკვეული ნაწილის გატარებაში.
6. სასწავლო მასალების დამატება, რომელიც მოიცავს დიპლომირებული კორპორაციული ბუღალტერების ასოციაციის (ACCA) და დიპლომირებული ფინანსური ანალიტიკოსის ინსტიტუტის (CFA) კურიკულიმის მიერ გათვალისწინებულ საკითხებს.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, შიდა და გარე დაინტერესებულ მხარესთან უფრო ფართო კომუნიკაციის უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული მოთხოვნილებების და მიდგომების შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით.
8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის განვითარება ხარისხის უწყვეტი განვითარების უახლესი მიდგომების შესახებ სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს IBSU-ს ყველა საქმიანობის მაღალი ხარისხი.

§ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
**არ შეესაბამება**

§ განმეორებითი აკრედიტაციისას მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის მიზანია ,,სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში". პროგრამის მიზანია აგრეთვე ,,სტუდენტებისათვის ბიზნესის და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების უზრუნველყოფა".

პროგრამის მიზნები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ბიზნესის ადმინისტრირების საბუღალტრო აღრიცხვაში ბაკალავრის ხარისხის პროგრამის დამთავრების შემდეგ მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აღნიშნული მიზანი, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები სხვადასხვა სექტორში, ძალიან ვრცელია.

პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტების მომზადებას ორ დისციპლინაში - ბიზნესის მართვაში, ასევე საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში, რითაც გამოიწვია სათაურის და შინაარსის შეუსაბამობა, ისევე, როგორც შეუსაბამობა საბუღალტრო აღრიცხვაში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხთან.

პროგრამის ამოცანები უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის დისციპლინაზე, რაც უზრუნველყოფს მინიჭებული ხარისხის და პროგრამის სახელწოდების შესაბამისობას. პროგრამის ამოცანები შეიძლება იყოს მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ სწავლის კონკრეტულ სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქმიანობას. რითაც, მიზნები უფრო მიღწევადი და დღევანდელი და სამომავალო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი ხდება. პროგრამის ამოცანები ზოგადად შეესაბამება IBSU-ს მისიას და ითვალისწინებს ქვეყანაში პროფესიულ ბუღალტერებსა და აუდიტორებზე მზარდ მოთხოვნებს. ამდენად, პროგრამის ამოცანები, პროგრამის ჩარჩოს ფარგლებში, მხოლოდ ნაწილობრივაა მიღწევადი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ რექტორთან და ვიცე-რექტორთან საერთაშორისო ურთიერთობებში
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ
- ინტერვიუები მოწვეულ ლექტორებთან
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

o წინადადება(ები),რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. პროგრამის მიზნის და ამოცანების ხელახლა განხილვა, რათა უზრუველყოფილ იქნეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ შეესაბამება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

არ შეესაბამება

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების
მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ჩამოყალიბებულია ძალიან ბევრი სწავლის შედეგი ორივე: პროგრამის (35) და სასწავლო კურსის დონეზე. საერთაშორისო პრაქტიკა მერყეობს 4 მაქსიმუმ 8 სწავლის შედეგს შორის, რაც მიზნების ინტეგრირებული მიდგომით ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა და მათ უფრო მიღწევად, გაზომვად და ნათელს ხდის შიდა და გარე დაინტერესებულ პირებთან საკომუნიკაციო მიზნებისათვის. ამგვარი მიდგომა სასწავლო მიზნების ეფექტური ასახვის საშუალებაა. სწავლის შედეგი განსაზღვრავს, თუ რისი ჩვენება უნდა შეძლოს სტუდენტმა პროგრამის/კურსის დასრულების შემდეგ. იგულისხმება კონკრეტული საფეხური, ამ შემთხვევაში უმაღლესი განათლების პირველი საფეხური. პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა გამოამჟღავნოს, რომ პროგრამის მოდულთან ასოცირებული სწავლის ყველა შედეგი მიღწეულია.

სწავლის შედეგებიპროგრამის დონეზე მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს, რომელიც მოითხოვს დარგის ღრმა ცოდნის, მათ შორის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზის, დემონსტრირებას; დარგის კომპლექსური საკითხების გაგებას; დარგის კონკრეტული მეთოდების გამოყენების უნარს და ასევე, ზოგიერთი მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად; უნარი განახორციელოს კვლევითი და პრაქტიკული პროექტი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; კონკრეტული მონაცემების შერჩევა და ინტერპრეტაცია, ასევე განყენებული მონაცემებისა და / ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; უნარი მოამზადოს დეტალური წერილობითი ანგარიში მოსაზრებების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარი; სწავლის შემდგომი საჭიროებების განსაზღვრის უნარი.

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის პროგრამის სწავლის შედეგები ასეა ჩამოყალიბებყული ,,კურსდამთავრებულის მიერ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისს და დებულებების ცოდნა ..., ზოგადი მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ფინანსური აუდიტის არსი და საფუძვლები, ა.შ., რაც არ არის საკმარისი ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების მიხედვით. იმდენად რამდენადაც, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოითხოვს დარგის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას, კურსების შინაარსი აგებულია ,,ძირითადი პრინციპების" მიწოდებაზე და არ უზრუნველყოფის მიზნების და სტუდენტის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კომპონენტების სწავლის შედეგებს გამოყოფილ საათებში მიღწევას.

უფასო კომპონენტების რაოდენობა 23 ECTS შეიცავს კურსებს, რომლებიც სწავლების ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს, მაგ. აუდიტი და უზრუნველყოფა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური უწყისების ანალიზი, გადასახადების საერთაშორისო გარიგებები.

როგორც ავღნიშნეთ, სასწავლო კურსები ძალიან ბევრ სწავლის შედეგს მოიცავს, რაც ხელს უშლის ამოცანების და სტუდენტის მიერ კომპონენტის სწავლის შედეგების სათანადოდ მიღწევას, გამოყოფილი საკრედიტო საათების და გამოყენებული სწავლების მეთოდების გათვალისწინებით. მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის  სასწავლო კურსი მოიცავს 5 ECTS კრედიტს ან 47 საკონტაქტო საათს, მათ შორის ლექციები -20 საათი, სტუდენტმა უნდა შეიძინოს 21 სწავლის შედეგი და გაიაროს 14 საკითხი. ისეთი მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა პროფესიული ეთიკა ეთმობა მხოლოდ 1 საათი ლექცია (45 წუთი), 1 საათი სემინარი და 1 საათი პრაქტიკა. ეს არ არის საკმარისი სწავლის განზრახული შედეგების დემონსტრირებისათვის: ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების გააზრება და ეთიკური ქცევის  მნიშვნელობა პროფესიული აუდიტში. კურსის საკითხის შინაარსი, ასევე, არ მოიცავს ეთიკურ ნორმებსა და ღირებულებებს, მაგრამ აგებულია პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებზე. კურსის სწავლის შედეგების შეფასება კურსის სწავლის შედეგების გათვალისწინებით არ მომხდარა. იმ შემთხვევაში, როცა არსებობს 21 სწავლის შედეგი, თითქმის შეუძლებელი ხდება თითოეული შედეგის მიღწევადობის შეფასება. იგივე ეხება, პროგრამის სხვა კურსებს. მაგალითად, საგადასახადო დაბეგვრის საერთაშორისო ოპერაციების კურსი მოიცავს 15 სწავლის შედეგს, მაგრამ ყველა მათგანი არაა სწორად წარმოდგენილი, მაგალითად, კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით ნახსენებია, რომ  სტუდენტებმა უნდა გამოამჟღავნონ ანალიტიკური მსჯელობის უნარი, შესაბამისი უნარ-ჩვევები კვლევაში, რაც რთულს ხდის მათ საბოლოო შეფასებას.  კურსის სწავლის შედეგების შეფასება არ უკავშირდება კურსის სწავლის შედეგებს.

ზოგადად, კურსის შინაარსის აღწერილობა ძალიან დეტალურია და ითვალისწინებს თითოეული საკითხისადმი გამოყოფილი საათების რაოდენობას.  ეს მიდგომა ზღუდავს კურსის მიწოდების და სტუდენტებზე ორიენტირებულ მიდგომის მოქნილობას, თუ რომელიმე საკითხის ასახსნელად უფრო მეტი საათი გახდება საჭირო.  სასწავლო კურსის სილაბუსი ძალიან გრძელი და ზედმეტად ინსტრუქციულია (მაგალითად 11 გვერდი

ეთმობა აუდიტის კურსს, 9 გვერდი საგადასახადო დაბეგვრის საერთაშორისო ოპერაციების კურსს და ა.შ.).

სასწავლო კურსის აღწერა უნდა შეიცვალოს და გაფართოვდეს, რითაც მეტი სივრცე დაეთმობა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებისა და სწავლის მიდგომებს. აქედან გამომდინარე, პროგრამის კომპონენტი და ზოგიერთი კურსის შინაარსი მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოს პროგრამის მიზნების და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას კვალიფიკაციების ჩარჩოს სათანადო საფეხურის მოთხოვნებზე დაყრდნობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსი
- თვითშეფასების გუნდთან ინტერვიუ
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. პროგრამის, კომპონენტების სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები უნდა მოერგოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის დონეს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასწავლო კურსის შინაარსის აღწერილობაში საგნის უფრო ფართო თემების ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომის უზრუნველყოფას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

არ შეესაბამება

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის პროგრამის შინაარსი ახლახანს ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას მოერგო საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი სპეციალობით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გაიცემა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი საბუღატრო აღრიცხვაში. ის შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნას აღინიშნოს პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს - „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით

მიუხედავად იმისა, რომ მინიჭებული ხარისხი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას ,,ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი", რადგან იგი შეიცავს მხოლოდ მის ნაწილს- აუდიტის, როგორც პროგრამის ნაწილის მოხსენიების გარეშე.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად, პროგრამის სტრუქტურა უნდა იყოს შემდეგნაირად ორგანიზებული: ,,...სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:

- ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა”.

პროგრამა ორგანიზაბულია ძირითადი, დამატებითი და თავისუფალი კომპონენტების სტრუქტურის გარშემო ა ნაწილობრივ აკმაყოფილებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. მოთხოვნის მიხედვით, ძირითადი სპეციალობაში, ამ შემთხვევაში საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, სულ მცირე 120 კრედიტი აღებაა საჭირო. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს,,დამატებით/ თავისუფალ კრედიტებს” (65 ECTS), საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის მოდული (65 ECTS), რომელიც განიხილება, როგორც ძირითადი სპეციალობა და არჩევითი კურსები, როგორც თავისუფალი კომპონენტები (23 ECTS). ინგლისური ენის კურსი (15 ECTS) რ არის არჩევით კურსებს შორის, აკადემიური წერა (5 ECTS) და საინფორმაციო ტექნოლოგია (5 ECTS) არაა პროგრამის ,,დამატებით/ თავისუფალ კრედიტებში”, და არც საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის მოდულში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

ο კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თვითშეფასების გუნდთან ინტერვიუ
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. შეცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ეწოდოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში, რათა უზრუველყოფილი იქნეს პროგრამის სახელწოდებასა და შინაარსთან შესაბამისობა.
2. სასწავლო პროგრამის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გადაკეთება, პროგრამის ძირითადი, მეორადი და თავისუფალი ან ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების გარშემო აწყობით;
3. პროგრამის შინაარსი უნდა მოერგოს სასწავლო სფეროს, აუცილებელია პროგრამაში განხრის ყველა საჭირო კომპონენტის (საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი) შეტანა, რაც უზრუნველყოფს საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში პროფესიული საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი კომპეტენციების შეძენას, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დამთავრების შემდეგ.
4. პროგრამის გადაკეთება არჩევითი კურსების პროგრამის ძირითად კომპონენტთან გადანაწილებით, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი ხარისხის პროგრამის სახელწოდებასთან შესაბამისობას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

არ შეესაბამება

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის სწავლა- განათლების მომდევნო დონეზე, იმდენად რამდენადაც კურსდამთავრებულთა 40% სწავლას სამაგისტრო პროგრამის დონეზე აგრძელებს. კურსდამთავრებულები ამჟამად კონკურენტუნარიანი არიან დასაქმების ბაზარზე. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2017 წელს არაა ხელმისაწვდომი, 2016 -100%, 2015 - 100% და მათი კვალიფიკაციის მიხედვით 2017 წლის მონაცემები არაა ხელმისაწვდომი, 2016 - 100%, 2015/ 83% 2014 - არაა ხელმისაწვდომი.

პროგრამის კურსდამთავრებულები თავისუფლდებიან პროფესიონალური სერტიფიცირების F1, F2 და F3 გამოცდებიდან, რომლებიც პროგრამაში 70 და მეტი პროცენტით შედის, ვიდრე საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (GFPAA) მიერ ორგანიზებული სერტიფიცირების გამოცდის შესაბამისი წიგნები. ეს ადასტურებს, რომ IBSU ძლიერი ძალისხმევით ცდილობს უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე.

მომავალი დასაქმების უნარები შეიძლება გაძლიერდეს ამჟამინდელი სტუდენტებისათვის, იმდენად რამდენადაც საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სფერო სწრაფად ვითარდება. დიპლომირებული კორპორაციული ბუღალტერების ასოციაციის (ACCA) კვლევის თანახმად, მომავალმა ბუღალტერებმა უნდა შეიმუშავონ და წარმოაჩინონ უნარი, რომელიც გააერთიანებს თავიანთ ტექნიკურ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და შესაძლებლობებს ინტერპერსონალურ ქცევასა და თვისებებთან. ამიერიდან, ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა შეავსოს ძლიერი ტექნიკური უნარები და ეთიკა ძლიერი კომუნიკაციის უნარით. საკომუნიკაციო უნარები ყველაზე მნიშვნელოვან კომპეტენციებს შორის იქნება ყველა სპეციალიზირებულ სფეროში და დიპლომირებული კორპორაციული ბუღალტერების ასოციაციის (ACCA) კვლევამ გამოავლინა, რომ ამ სფეროში უნარ-ჩვევების საკმაოდ დიდი გარღვევაა. ხარვეზების აღმოფხვრა ადვილი არ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ფრაზას ,,კომუნიკაციის უნარი" უამრავი მნიშვნელობა ენიჭება დარგის პროფესიონალებისა და არაპროფესიონალების მიერ. ეს ილუსტრირებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის სპეციალობის პერსპექტიული პროფესიონალების მიერ. ისინი თვლიან, რომ ბევრ ახლად კვალიფიცირებულ ბუღალტერს არ გააჩნია ,,ხალხთან ურთიერთობების უნარები", რათა კონსტრუქციულად გაუმკლავდნენ კონფრონტაციას და დამაჯერებლად გაუძლონ გამოწვევებს (იხ. პროფესიონალი ბუღალტერი - მომავალი, ACCA, 2016).

იგივე ეხება აუდიტორების მიმართ მოთხოვნებს ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის სახელმძღვანელოს ISSAI 3000 - 3100 მიხედვით, (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, https://sao.ge/en/audit/methodology/international-standards-on-auditing).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- რექტორთან და ვიცე რექტორთან ინტერვიუ
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუ

- სტუდენტებთან ინტერვიუ
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტრებთან ურთიერთგაგების მემორანდუმი (18.05.2015.)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. სტრატეგიული დაგეგმვისა და შესრულების მართვის უნარების შემუშავების უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სამომავლო ჩართულობის შესახებ ვორკშოპების/სემინარების ორგანიზება ბუღალტერთა და აუდიტის სპეციალისტებისათვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები,
კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება, თუმცა, არ არის ფორმალიზებული და არ მიყავს კარგად განვითარებული პროგრამის ამოცანების, სწავლის შედეგების, პროგრამის კომპონენტის სტრუქტურის მიღწევამდე. სტუდენტები აწვდიან საკუთარ შეხედულებას პროგრამის შესახებ, აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს პროგრამის განვითარებაში, მაგრამ ჯერ კიდევ შესაძლებელია ამ საქმიანობების გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროგრამის სწავლის შედეგების, მისი კომპონენტების სტრუქტურის, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, ასევე დღევანდელი და სამომავლო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება და საბუღალტრო და აუდიტის სპეციალისტების პროფესიული კომპეტენციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ
- მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუ
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასების გუნდთან ინტერვიუ

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>1. სასწავლო პროგრამის განვიითარებაში დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეთა, მათ შორის კურსდამთავრებულთა, ჩართვის ოფიციალურად გაფორმება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>1. პროგრამის განვითარების საბჭოს შეხვედრები, რომელსაც თავმჯდომარეობენ სასწავლო სფეროში პროფესიონალი წარმომადგენლები, შეიძლება რეგულარულად (მაგ. წელიწადში 2-ჯერ) ჩატარდეს, რათა განიხილონ პროგრამის განვითარება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.<br>პროგრამაზე მიღება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ხდება. ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალე პროცესს და შეფასებას. უნივერსიტეტის იღებს კანდიდატებს, რომლებმაც შეარჩიეს IBSU სხვა უნივერსიტეტებთან ერთად და საკმარისი ქულები მიიღეს სხვა კანდიდატებთან შიდა კონკურსის გასავლელად. კერძოდ, კანდიდატმა, რომელსაც სურს |

ჩაირიცხოს IBSU-ში უნდა გაიაროს სამი სავალდებულო ერთიანი ეროვნული გამოცდა: ზოგადი უნარები, ქართულ და ინგლისურ ენები და ერთი არჩევითი მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებას შორის. ინგლისურენოვანი პროგრამის საერთო შეფასებაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ინგლისური ენის გამოცდაზე. კანდიდატები, რომლებიც აირჩევენ და გაივლიან ერთიან ეროვნულ გამოცდას მათემატიკაში, უფლება აქვთ ჩარიცხვის წილის დაახლოებით ნახევარზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების გუნდთან ინტერვიუ
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- სტუდენტებთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რეკომენდაციები არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რჩევები არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X მოთხოვნებს შეესაბამება

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის აღწერა შეიცავს კურსების დეტალებს, სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის მეთოდებს, მათ შორის ლექციები, პრაქტიკა, ჯგუფური მუშაობა, სემინარები პრეზენტაცია, კაზუსები და ა.შ. სასწავლო კურსების შინაარსი ძალიან დეტალურად აღწერს ყოველკვირეულ საქმიანობას და შინაარსს,რაც ზღუდავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მიდგომას, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევაზე აგებული სწავლება.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკა გაიარონ აუდიტისა და ფინანსურ საკონსულტაციო ფირმებში. ამ მიზნით, უნივერსიტეტმა რიგ კომპანიებთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი. პროგრამა და სასწავლო კურსის აღწერილობა შეიცავს სწავლის შედეგების ვრცელ და ამბიციურ სიას, რომელთა მიღწევა პროგრამისათვის გამოყოფილი კურსების გათვალისწინებით ნამდვილი გამოწვევა იქნება. გამოყენებული სწავლების მეთოდები უნდა იყოს უფრო მორგებული საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სპეციალისტების პროფესიულ და აკადემიურ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

ο კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. სწავლების მეთოდების აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებზე მორგება და აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება პროფესიული საქმიანობის წარმოებისათვის
2. სასწავლო კურსის სილაბუსში უფრო ნაკლები სწავლის შედეგის და მეტი თემების შეტანას, რათა უზრუნველყოს სწავლების მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რაც არ შეზღუდავს კონკრეტული თემების კონკრეტულ ვადებში სწავლას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა შედგება ზოგადი კურსებისგან მაგალითად, მაკრო და მიკრო ეკონომიკა, მარკეტინგი, სტატისტიკა, ასევე პროგრამის სპეციალური საკითხები აუდიტი, დაბეგვრა, ფინანსური განცხადება და სხვა. პირველი ორი წლის მანძილზე სტუდენტები, ძირითადად, ზოგადი საგნებზე არიან კონცენტრირებული, სწავლის მომდევნო ეტაპებზე (მესამე და მეოთხე სასწავლო წლის განმავლობაში) პროგრამის სპეციფიური საგნების სწავლება იწყება. პროგრამის თანამშრომლებმა აღნიშნეს 3 მიმართულება, რომელთა გავლაც შეუძლიათ სტუდენტებს ამ ეტაპზე, კერძოდ: დაბეგვრა, ფინანსური განცხადების ანალიზი და აუდიტი, თუმცა ეს მიმართულები არ არის მკაფიოდ მითითებული პროგრამის აღწერილობაში. თანმიმდევრობა და საგნების რაოდენობის თითოეული მიმართულების ფარგლებში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. პროგრამის კომპონენტების დაშვების წინაპირობა მოცემულია, მაგრამ ზოგიერთი სასწავლო კურსი საჭიროებს დამატებით განმარტებას, მაგალითად, არ არსებობს არც ერთი წინაპირობა მენეჯერული აღრიცხვის კურსზე, რომელსაც მეხუთე სემესტრში სთავაზობენ. ამ კურსის წინაპირობა შეიძლება იყოს ბუღალტერიის საფუძვლები. იგივე ეხება, საბუღალტრო აღრიცხვის ეთიკის საკითხებს, რომელსაც მეხუთე სემესტრში სთავაზობენ და არ მოითხოვს დაშვების წინაპირობას. საბუღალტრო აღრიცხვის ეთიკური საკითხების შესასწავლად საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების გაგება შეიძლება სასარგებლო იყოს. კურსებზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრა სასარგებლოა სტუდენტების მიერ უკვე მიღებულ ცოდნაზე დაფუძნებული პროგრამის განსავითარებლად.

კურსების თანმიმდევრობა არ არის ლოგიკურად დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სწავლის შედეგებთან, რადგან პროგრამის სტრუქტურა არ არის ძირითადი, მეორადი და თავისუფალი კომპონენტების გათვალისწინებით შექმნილი, რითაც რთული ხდება სილაბუსის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, როგორც ძირითადი კომპონენტის გარშემო აგება, თავად პროგრამის სახელწოდება მიანიშნებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, ძირითადი და არა მეორადი სფეროა. მიზანშეწონილია, თუ პროგრამა განახლდება და

დაემატება აუდიტსა და ბუღალტრული აღრიცხვასთან დაკავშირებული მეტი სავალდებულო კურსები და შემცირდება ზოგადი კურსების რაოდენობა ან, მინიმუმ, მათი არჩევით საგნებად გადაკეთება. ხელსაყრელი იქნება, თუ პროგრამა მოიცავს მეტ კურსებს და დიპლომირებული კორპორაციული ბუღალტერების ასოციაციის (ACCA) და დიპლომირებული ფინანსური ანალიტიკოს ინსტიტუტის (CFA) კურიკულუმის მიერ გათვალისწინებულ საკითხებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრის უზრუნველყოფა.
2. პროგრამის კომპონენტების ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია ზოგი კურსის შერწყმა და ამოღება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

ο პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

ο მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ο საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტები ს შეფასება ხდება სასწავლო პროცესის დროს და კურსის დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიღწევები ფასდება 100-ქულიანი სისტემით, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა შეკრებით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გადალახული აქვს შუალედურ შეფასებაში მინიმალური

